




ქმირა, 16 აგვისტო მიიღება ხალხურად 1915 წ., თებერლი და ცხოვრება - ზმ № 33 - 1915



ისტორიკოს-მწიგნობარი მ. გ. ჯანაშვილი
 (სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1877 წ 17 აგვის.)
 (იხ. ამავე ნომერში)

ხარტუხის საზოგადო კლუბი

ბიუჯეტის
ნ. № 131

- საუცხოეო სწავლებლო რატონდია, სტენით და მშენიერი, ელექტრონით განათებული, ბადით.
- პარასკევს, 14 აგვის. **სინემატოგრაფი და საზანდარი**
 - შაბათს, 15 აგვისტოს **ქართული ოპერეტა**
 - კვირას, 16 აგვის. **კონცერტი** ივ. სარაჯიშვილისა და ი. ტომაშევიჩის მონაწილეობით
 - ორშაბათს: 17 აგვის. **საზანდარი**
 - სამშაბათს 18 აგვის. **რუსული წარმოდგენა**
 - ოთხშაბათს 19 აგვის. **ქართული წარმოდგენა,**
 - ხუთშაბათს 20 აგვის. **საბავშო საღამო: სიმებიანი ორკესტრი**
 - პარასკევს 21 აგვის. **საზანდარი; სინემატოგრაფი**
 - შაბათს 22 აგვის. **კონცერტი**
 - კვირას 23 აგვის. **მალოროსიული დასის წარმოდგენა**

დასაწყისი საღამოს 8¹/₂, საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცი იხდიან. — 30 კ. ქალები და სტუდენტები — 20 კ.
წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი — 8¹/₂ ს., საბავშვო საღამო — 5—9 ს.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на еженедельный богато-иллюстрированный журнал

под
редакцией

„РАМПА и ЖИЗНЬ“

Л. Г. Мунштойна
(LoIo)

Театр. — Музыка. — Литература — Живопись. — Скульптура.

Съ 1-го іюля по 1-ое января 1916 г. — 3 р. 50 к.

Съ роскошно-иллюстрированной преміей

ГАЛЛЕРЕЯ СЦЕНИЧЕСКИХ ДѢТЕЛЕЙ (томъ I) 5 руб.

Адресъ конторы: Москва, Богословскій пер. (ул. Б. Дмитровка), д. 1. Тел. 2-58--25

Можно подписываться по телефону 2-58-25. Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботы отъ 12—3 часовъ дня. ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печковской (Петровскія Линіи), въ книжн. магазинѣ „Новое Время“ (въ Петроградѣ, Москвѣ и въ провинц. городахъ), въ музыкальн. магазинахъ В. Бессель и К^о. (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ. (Москва—Петроградъ.) Л. Издиковскій (Кіевъ) и во всѣхъ книжныхъ магазинахъ г. Москвы и провинціи.

Цѣна объявленій впереди текста—75 коп., за строку петица, позади текста—50 к. (4—2)



№ 33

წელიწადი
მ მ ს ა მ მ

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისმართი: Тифლის Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 33

კ ვ ი რ ა, 16 ა გ ვ ი ს თ ო.

1915 წ.

16 ა გ ვ ი ს თ ო

ის, რაც დაბა სოფლის სცენას უჭირს

ჩვენდა საბედნიეროდ დაბა-სოფლებში ქართული სასცენო ხელოვნება ფრთხილად უარსდება დრამატიული წრენი, საზოგადოებრივი, აშენებენ საკუთარ სათეატრო დარბაზებს, აღგენენ დასებს და სხ.

იღმის წარმოდგენები, უმეტესად საქველმოქმედო მიზნით, და თითქმის ყველგან ერთსა და იმავე, ძველ გაცვეთილ პიესებს სთამაშობენ...

დაბა-სოფლის სცენის მოყვარეთა რეპერტუარი ღარიბია, ღარიბია იმიტომ, რომ საჭირო დაბეჭდილი პიესები არ მოეპოვებათ... ხშირად ისეთ პიესას სდგამენ, რომელიც ხელთა აქვთ, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა...

პიესის უქონლობა კი ძალზე აბრკოლებს დაბა-სოფლის სცენაზე იდეურ რეპერტუარის გამეფებას...

ვინ უნდა შეავსოს ეს ნაკლი, თუ არა ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ? ნუ თუ ბიბლიოთეკის დაწვამ, სადაც მრავალი პიესა სემუდამოდ დაინთქა, გონებაზე არ უნდა მოგვიყვანოს და საჭირო პიესები დროით არ დაგვაბეჭდინოს?!

ქართული თეატრის დარბაზის ჩაფერფლასთან ერთად თითქო ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობაც ჩაიფერფლა, დაქარგა უნარი მოქმედებისა... თითქო პატივცემულ გამგეობის წევრთა დანიშნულებას მხოლოდ ანტრეპრიზის მოწყობა შეადგენდეს!..

ქართ. დრამ. საზ. გამგეობას თუ თბილისში მოქმედების ასპარეზი მოესპო, მაშინ იმდენი უნარი მანც უნდა გამოიჩინოს, რომ

დაბა-სოფლებს გამოსადეგი რიგიანი პიესები შეურჩიოს და დროგამოშვებითი კრებულები ბეჭდოს, რითაც დიდს სამსახურს გაუწევს პროვინციის სცენას და, გარდა ამისა, ჩვენს დრამატიულ ლიტერატურასაც გაამდიდრებს..

ასეთ გამომცემლობის მოწყობას დიდი თანხა არ დასჭირდება, საქმე კი მოსაგებია...

აი, დღეს რა უფრო უჭირს დაბა-სოფლის სცენას..

ხელი

შორს!

კი ხანია აქარაში საქრისტიანო სამისიონეროა, სადაც დღემდე მისიონერად უმეტესად რუსი

მღვდელი იყო, დღეს-კი, როდესაც უბედურებაში ჩაცვივებულ მაჰმადიან ქართველებს ქრისტიანმა ქართველობამ ძმურად ხელი გაუწოდა, სამასი წლით ერთმანეთისგან გათიწულნი ერთი დედის შვილნი ერთმანეთს გადაეხვივნენ — დროა თავი ვიცნოთ და ჩვენი მამაპაპური კერა გავადვიოთო, — სწორედ ამ დროს ქართველ მაჰმადიანთა შორის მისიონერად გზავნიან ქართველ მოძღვარს (რადვენადაც გავიგეთ, თვითონ ამ მოძღვარს გამოუღვია თავი სამისიონეროდ) და ერთს არც კი დაფიქრდებიან: რომ ამით ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ურთი-ერთობის განტყიცებას რა დიდად უშლიან ხელს..

და ამ დნაშაულობის მებაირალტრედ გამოდის ქართველი მოძღვარი!..

ხელი შორს, მობატონე მამანო! დღეს ქართველ ხალხს სარწმუნოებრივი შუღლის თესვა კი არა, ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება ესურვება..

ანგარბით გატაცებულთ თუ არა უწყიან რასა იქმონენ, მაშინ თვით ხალხმა უნდა ამო-

ილოს ხმა და ერთხელ და სამუდამოდ ნათელ-
 ჰყოს, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველ
 თა დაახლოვება მხოლოდ ეროვნულ ნიადაგ-
 ზე შეიძლება, რომ სარწმუნოება სინიდიის
 საქმეა და აჰას იარაღად არ უნდა ხმარობდეს
 არც ერთი მხარე...

დაე, ჩვენის ძმობის ხიდათ გადოს ჩვენი
 გვარტომობა, ქართველობა, დიდი შოთა
 რუსთველი, აკაკი და ილია, ეროვნული სკო-
 ლები, ქართული მწერლობა, ქართული თეატ-
 რი და არა სარწმუნოებრივი შჯობრება—
 ქრისტი და მაჰმადი...

რჩეული

ვერა, ვერ იქმნა და სული მისი
 ცრუ წუთისოფელს ვერ შეეგუა,
 როგორც ღრუბელი, ობლად მავალი,
 დახეტიალობს ცა-ქვეყნის შუა.

ვინ იცის, იქნებ მთელ ამ ყოფნაში
 ვერსად ვერ ჰპოვოს რჩეულმა ტოლი
 და როგორც ობლად მოვიდა ქვეყნად,
 ისე ობლადვე მოჰკვდეს ობოლი.

ხელოვანნი ომში

დღევანდელმა საარაყო ომმა თითქო
 სრულებით არივ-დარია კაცობრიობის აზროვ-
 ნება. ჰუმანიურ აზრთა ზრდა და განვითარე-
 ბა თითქო შეჩერდა და მხოლოდ სისხლის
 ღვრა და ძალმომრეობა გააფეფა ყოველგან.
 სოციალისტები მინისტრებად გადიქცნენ და
 ხელოვანნი ომში წაიგდნენ... სისხლის საღ-
 ვრელად. ის მარჯვენა, რომელიც უმაღლესს
 სიყვარულსა და „კაცთა შორის სათნოებაზე“
 საუკეთესო ნახელოვნებს სწერდა, დღეს თოფს
 ჰკიდებს ხელსა და თვისს მოყვასს ცხელი
 ტყვიით გულს უგმირავს.

ასე მოიქცა ბელგიაში მეტერლინიკი,
 იტალიაში დ,ანუნიციო და საფრანგეთში ანა-
 ტოლ ფრანსი, ეს სამი თანამედროვე ბუმბერა-
 ზი მწერალი. ანტოლ ფრანსს ერთგვარი
 კვენესა მინც აღმოხდა გულიდან ომში წასე-
 ლის დროს. გეხსომებათ მან დასწერა, რომ
 „ამბობენ ახლა კალამი აღარ არის საქირო-
 ვო. მეც ვდებ კალამს, ვიღებ ხელში თოფს
 და სამომრად მივდივარო“. სხვებს არაფერი
 ამ გვარი არ წამოცდენიათ. უფრო წვრილმან
 ნწერლებზე, მუსიკოსებზე, მსახიობებზე და
 სხვ. ხომ ამ ჟამად და ამ მხრივ ლაპარაკიც
 არა ღირს. ყველანი უმეშველო ბრძოლის
 სურვილმა შეიპყრო. ყველა ერთგვარ აზ-
 როვნებს.

მხოლოდ სულ სხვა გვარ ფიქრობს, თურ-
 მე, იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუილი.

განთქმულმა ბარიტონმა ბატისტინიმ
 გადასწყვიტა საომრად წასვლა. წინედ თურ-
 ძე სამხედრო სამსახურშია ნამყოფი და
 ახლა თვისი ქვეყნის პოლკოვნიკის ხა-
 რისხიცა აქვს. მანაც თავისი გადაწყვეტილე-
 ბა მეფეს აცნობა და სთხოვა ერთ-ერთი პოლ-
 კი ჩებარებინა.

მეფემ ასეთი წერილი მისწერა: „დიდაა
 ვაფასებ თქვენს მაჴულიშვილურ აღფრთოვნე-
 ბას, მაგრამ იტალიის მთავრობა თქვენის სამ-
 სახურით მინც ვერ ისარგებლებს, რადგან
 ომში თქვენ მხოლოდ ავსტრიელებს აჯობებთ
 თქვენი ხმით კი დიდი ხანია რაც მთელს
 ქვეყნიერებაზე გაიმარჯვეთ და ამითი განადი-
 დეთ და შეამკეთ თქვენი სამშობლო იტალია.
 მეფესა სურს, რომ კიდევ დიდხანს იპყრობ-
 დეთ და იმორჩილებდეთ ადამიანთა გულს და
 გრძობას. ბრძოლის ველზე კი მეტერს სხვა
 მხნე და უშიშარი სარდლები გაუსწორდები-
 ნო“.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მეტად
 გონივრული პასუხია. ჩვენც ყოველთვის იმათ
 უნდა ვაფასებდეთ, ვინც დიდ განსაცდელშიაც
 გონებას არა ჰკარგავს და თავის გზა-კვალს
 არ ასცდება.



ა. ქალაბეგიშვილი
ქართული სცენის ნიჭიერი და მუყაითი მსახიობი. კვირას, 16 აგვ. მისი ბენეფისია ყვირილის თეატრ.



მომღერალი
დავ. აკოვაშვილი
სტანისლავიტა და ანნათი არის დაჯილდოებული

ისინი ცხოვრებასა ქმნიან!

უთვალავი იყო მათი რიცხვი და აუტანელი მათი შრომა. ბუნების უმშვენიერეს კუთხეში მოეყარათ მათ თავი და მუშაობდნენ... ქალაქს აშენებდნენ ისინი...

მაგრამ ქალაქი იგი უნდა ყოფილიყო შეუღარებელი სილამაზისა. თლილი მარმარილოსა და სხვადასხვა ძვირფას ქვებისაგან აშენებული სახლები მრავალ-ფეროვანად ბრწყინავდნენ მზის სხივებზე; მათი სახურავების ფერადები თვალს აამებდნენ... მშვენიერი, ფართო ქუჩები თლილი ქვითავე იყო მოფენილი... ყოველ ქუჩის კუთხეში კი სხვა და სხვა ლითონებისაგან ჩამოსხმული ძეგლები იდგნენ სახელოვან მიწის-შვილთა სახსოვრად...

და შრომობდნენ ადამიანები და ამშვენებდნენ ქალაქსა მას... მზათ იყო ყოველივე, მხოლოდ ერთი ტაძარი, ტაძარი ხელოვნებისა, არ იყო დამთავრებული...

ტაძარი იგი კი თვალი იყო ამ ქალაქისა... კაცობრიობას არ ენახა მან ულამაზესი რამ... ჰენია მიწის შვილთა სავსებით გაიშალა ამ ტაძრის აშენებაში...

დიდხანს, ძლიერ დიდხანს აშენებდნენ ადამიანები ამ ტაძარს. მრავალი კაცი მუშაობდა ზედ და მოკლე ხანში უნდა დაემთავრებინათ...

და დამთავრდა ტაძარი იგი... და მიადგინა ხალხმა საწადელს...

შემდეგ გავიდა ხალხი ქალაქის გარეთ,

მახლობელ მთაზე და დაუწყო ცქერა თვის ქმნილებას... ხალხი სტკებოდა ქალაქის ცქერით... აღტაცებაში შოდოდა ხელოვნების ტაძრის სიმშვენიერით.

გავიდა ხანი...

ერთს დღეს, როცა ხალხი ქალაქის გარედ გასულიყო და მისი მშვენიერების შორიდან ცქერით სტკებოდა, ერთმა ხუროთმოძღვარმა მეგობარს უთხრა:

— ხელავ, აი იმ გუმბათის წვერი რომ ცოტათი მაღალი იყვეს და კუთხიანი, უფრო ლამაზი იქნებოდაო... მეგობარი მას დაეთანხმა—მართლაც ისე აჯობებდა...

შემდეგ ხალხი უფრო მეტ ნაკლს ჰხედავდა თავის ქმნილებაში, და ბოლოს თვით ხელოვნების ტაძარს, იმ ხელოვნების ტაძარს, რომლის აგებისათვის ადამიანები საუკუნოები ცდილობდნენ—ამ ხელოვნების ტაძარსაც ნაკლი უნახეს...

და დაიჩრდილა სილამაზე შენობათა... და გაისმა ხმები:

— ავაშენოთ ახალი... აი, იქ მაღლობზედ ავაგოთ ახალი ტაძარი, თვით ზეცას რომ გუმბათით მიეზღინოს...

— ავაშენოთ ახალი, ხოლო დავანგრიოთ ძველი... მხოლოდ ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი...

და ისმოდა ყვირილი და ვერ გადაეწყვიტათ ადამიანთ, თუ რა ექნათ...

— არა ძველის ნანგრევებზე უნდა ავაგოთ ახალი ყვიროდნენ ერთნი—და გამოქონდათ გამანადგურებელი იარაღები...

— არა, ნუ, ნუ ვიქმნთ მაგას... გაიძახოდნენ მეორენი, მაგრამ არვის ესმოდა მათი.

ზარბაზნები ანადგურებდა ქალაქს... ათასი წლის ნაშრომ-ნადგაწლი სულ ცოტა ხნის განმავლობაში მტვრად აქციეს... ანგრევდნენ სახლებს, ანგრევდნენ ძეგლებს... სწვავდნენ და ანადგურებდნენ რაც რომ მშვენიერი და ლამაზი იყო ქალაქში...

და ხედვიდა ყველა ამას უცნობი კაცი, მოსული უცხო, შორეული ქვეყნიდან...

და ასე იკითხა მან:

— რასა შვრებიან ისინი, რასა?

და უპასუხა მას ვინმემ ხალხიდანა:

— ისინი ცხოვრებას ჰქმნიან!...

— ცხოვრებასა?..

— დიად, ცხოვრებასა ჰქმნიან ისინი...

ჩვენ ათასი წლობით ვაშენებთ და ვამშვენებთ ჩვენს წმიდათა წმიდას... ვშრომობთ, ვიღწვით და მიზნისაკენ მივისწრაფვით... და როცა მიზანს მივალწევთ... ჩვენ ვჩერდებით... ვანგრევთ ჩვენს წმიდათა წმიდას და ძველი ტაძრის ნანგრევებზე ახალს ვაგებთ... ახალს ღმერთსა ვსცემთ თაყვანს...

შენ ხომ ხედვიდი მშვენიერების ტაძარს, ახლა მას ვანგრევთ... და არ ვნადგვლობთ, რომ ვანგრევთ...

ჩვენ ის განა არ გვიყვარდა, მაგრამ განა სიყვარულისთვის შეჩერდება ცხოვრების მსვლელობა?... ჩვენ ის უნდა დაგვენგრია... რომ ისევ დაგვეწყოს... და ისე ამოძრავებულყო ცხოვრება... მხოლოდ ჩვენ ამ ძველს ვანგრევთ ახლის სახელით, მშვენიერებას ვანადგურებთ — უფრო მშვენიერების გულისათვის...

და ასე მივდივართ...

დიად, ეს არის ქმნა ცხოვრებისა და ხედვ, ისინი ჰქმნიან ცხოვრებას...

და ისმოდა ხრიალ-გრიალი და ინგრეოდა ტაძარი იგი მშვენიერი...

— ისინი ცხოვრებასა ჰქმნიან... ათასი წლობით ნაშრომს ერთ წუთში ანადგურებენ, რომ ისევ ხელახლა დაიწყონ შრომა?... ცხოვრება?..

და უცნობმა კაცმა, მოსულმა შორეულ უცხო ქვეყნიდან, თავი ჩადუნა და განშორდა ადამიანთ, რომელნიც აშენებენ იმისთვის, რომ ბოლოს განადგურონ, უყვართ იმიტომ, რომ მალე შეიძულონ...

მონისჭიჭი

მ ც ნ ე გ ა ლ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე

I სიზმარი

ერთხელ ვნახე სიზმარი. აღტაცებული ჩანჩქერის ძირას ვიჯექი და უზარმაზარ თოვლიან მთის სილამაზით ვსტუმბობდი... ჩანჩქერის ჩხრიალი ატკობდა ჩემს სმენას, მთის თოვლიან მწვერვლის სილამაზე იტაცებდა ჩემს თვალებს...

უცებ საიდანაჯე ცის კაბადონზე გამოჩნდა რალაც დიდი ფრინველი... ლაქვარდოვან ცას მელიდურად სჭრიდა მისი მძლავრი ფრთები... მოვსწყვიტე თვალი მაღალ მწვერვალს და ფრინველთ მეფეს მივაშტერე... მთლიად დამატყვევა მისმა მელიდურმა სრიალმა, მთლიად შთანთქა მისმა გიჟურმა ყოვილმა...

უცებ ფრ წველთ მეფე შეკრთა... ჰაერში შეინ ვარდა და ამაყად დაჰკივლა. გვერდზე გავიხედე, ვლაც მონადირე მშვილდს სკიმავედა, ისარს ამზადებდა... მივხვდი. მივხვდი რამაც შეაკრთო ფრინველთ ბატონი, მივხვდი და გული მეტკინა.

არწივს გავხედე... გულში ერქო ბასრი ისარი... ძირძირ ნელა მოდიოდა... ყიოდა სევდიანი... აი, მოუახლოვდა მიწას...

სულ ახლოს... მაგრამ უცებ იყვილა, შეინძრა, მოიკრიბა ძალა და წავიდა ზევით, სულ ზევით, მერე მიაშურა იმ თოვლით დაფენილ მთის მწვერვალს, რომელიც მელიდურად არეს დაჰყურებდა... მიაშურა, კიდევ შეინძრა, ერთი საშინლად იყვილა, შურდულივით დაექნა და გულით მის მწვერვალზე გაიშოტა... ერთი გაიზმორა და სული დალია... მივაშტერდი მწვერვალს... მივაშტერდი და სევდა ჩემი სულაც გაქრა.

— არ დაეცა ველად გულ-გაგმირული არწივი, არა... გაეფიქრე...

— იქ დალია ამაყი სული, სადაც უნდა დაეღია...

— ნეტავი მას...

გამომეღვიძა...

II ოცნება

უეცრად გამახსენდა ეს სიზმარი, როცა ვაქას გარდაცვალება გავიგე. გამახსენდა და რალაც გიჟურმა აზრმა შემიპყრო...

— ოჰ, რა კარგი, რა კარგი იქნება, გავიფიქრე, რომ ის ჩვენი „მთის არწივი“ მყინვარის მწვერვალზე დაგვესაფლავებია... მყინვარის მწვერვალზე, იქ, სადაც სულ დოვ-

ლია, ქარიშხალი... სადაც მხოლოდ არწი-
ვები მედიდურად დანავარდობენ..

ოჰ, რა კარგი იქნება, რა ლამაზი...

რად გვინდა „მთის არწივი“ სადმე დი-
დულბეში, რად? მისთვის, რომ ვნახოთ ხოლმე
მისი საფლავი და პანაშვიდები ვუხადოთ?..

არა, მთის არწივის იგი არ უნდა, არა...
მას გალია სძულს. სძულს...

სტიქიონები იყო მისი მეგობარი... მთის
თხემები იყო მისი ბინა... ბროლის ჩანჩქერე-
ბი იყო მისი მესაიდუმლე, მთის ქუჩის უზი-
არებდა თავის დარდებს...

ახლა კი?!

ახლა კი, ამეებს მოკლებული, როგორ
მოიცვენებს მისი სული დიდუბეში?

როგორ?!

ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ის, ვისი
ცხოვრებაც ლეგენდა იყო—მ.სი სიკვდილიც
ლეგენდად ქცეულიყო!!

ოჰ, რა კარგი იქნებოდა!!

წი ხოსტე.



საზოგადო მოღვაწენი



მოსე გიორგის ძე ჯვანაშვილი

ერის წინსვლას, დაწინაურებას ხელს უწე-
ობს მის მოწინავე შვილთა ღვაწლი, დაუცხრო-
მელი მუშაკობა. ასეთი მუშაკნი ხადხს ამაღ-
ლებენ, თავის თავისადმი რწმუნას უნერგავენ...

რა იქნებოდა ერის ცხოვრება, რომ მას
არა ჰქონოდა მოსარჩლე და გზა-კვალის მაჩვენებელი...

ჩვენს კვლავს რამდენიმე ასეთი მოღვაწე,
რომელთა შორის სანატო ადგილი უჭირავს
ჩვენს დაუდალავ მწიგნობარს მ. ჯვანაშვილს,
რომელიც თაქმის არმოცი წელიწადია რაც
ჩვენში მოღვაწეობს.

მ. ჯვანაშვილი დაიბადა შარად მზიანს სან-
თილოში 19 მარტს 1855 წ. მისი მოზობლე-
ბი გიორგი და მარიამ ადრევე დაწვრილშვილ-
დენ (ჭეჭვდათ ნ ვაჟი და ერთი ქალი) და დიდი
გაჭირვება, ხელმოკლეობა გამოასცადეს. სოფ.
კახის შვედრი მცხოვრები გიორგი, დიდ-გვა-
რიანი ძველთაგანვე,*) იყო ერთი იმ შვილთაგან-
ნი, რომელთაც სასანთლოს გამწამადინებულ
ქართველებში ხელ-ახლა შემოიდეს (1850 წ.)
ქრისტიანობა და გაასადეს მამამაშური კულტურა
დდეს კახი განათლების მხრით არ ჩამოუვარდება
საქართველოს, არც ერთ თვალსაჩინო დაბას. შარ-
ტო-ხელ მამას მისი მეოთხე ვაჟი მოსიგო
შველდადა ეოვედგვარ სოფლიურ საქმეში
1868 წ დე. ამ წელს მიანარეს ჭარის სამაზრო
სასწავლებელში, სადა ისეთი ნიჭი გამოაჩინა
სწავლაში, რომ კლასილამ კლასში მუდამ პირ-
ველ მოწაფედ გადადიოდა. ასეთი ბეკითობისთ-
ვის მაშინდელ სკოლის წესისამებრ ბოლო წე-
ლიწადს მოედის სასწავლებლის უფროსობაც
(მსტარშობა) ებარა. 1874 ჩინებულად დაას-
რულა ჭარის (ხაქათაღის) სასწავლებელი და
მერე თბილისის სასულიერო სემინარიის 1-ელ
კლასში შევიდა. აქ მოსეს ხელმძღვანელობდენ
ამინდელი მასწავლებლებნი გიორგი იოსელიანი
და თომა ტურიაშვილი. აქაც პირველ შევიდათ

*) ჯან.შვილების საგვარეულო ქალაქლები დაი-
კარგა ს. სანთიანში მის აკლემის დროს ლეკების მიერ.

გადიდა სემინარიის კურსს, ამასთანავე ეწეებოდა საქართველოს წარსულისა და მწერლობის განვითარებას. ამ მხრივ მისი ხელმძღვანელი იყო დიმიტრი ჯანაშვილი და აგრეთვე აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი; ზ. უმიკაშვილი, ზ. კონკიშვილი (შემდეგ ეპისკოპოსი). სემინარიის ბიბლიოთეკა მასშინ მეტად მდიდარი იყო მსოფლიო მანკრეთა წიგნებით. მისემ ეს წიგნები გულდასმით გადაიკითხა, მეტადრე ბოკლი, დრეპერი, სპენსერი, კანტი, კონტი, შექსპირი, შილერი, გიოტე, გიუგო, პისარევი, ჩერნიშევი, ლობოლიუბოვი და სხ. დღის მეტყველებით კლასს თავი გაანება, რომ განგრძობს სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ სიღარიბის გამო დაბნდდა ქუთაისში, სადა დაჰყო ორი წელიწადი. აქ მუაფლობისას მოიმკაზვრა უმეტესი ნაწილი იმერეთისა, რომლის გეოგრაფია და ისტორია ზედმიწევნით შეისწავლა. დიდის ეურადღებით ეპურობდა მას საქართველოს მნათობი გაბრუნებამ და აგრეთვე ანტ. ლორთქიფანიძე, რომელსაც მასშინ ჰქონდა საქმად მდიდარი წიგნთ-საცავი.

მ. ჯანაშვილის პირველი თხზულება („საინგილო“) დაბეჭდა „ივერიაში“ 1877 წ. 17 აგვისტოს. მის შემდეგ კალამი ხელიდამ არ გაუგდა. მისი ნაწარმოები ბეჭდებოდა თითქმის ყველა დროგამოშვებით ქართულ-რუსულ

ურნალ-გაზეთში. შინაარსის მხრივ ეს წერილები გაყოფებოდა რამდენიმე დარგად: არის ნაწერები უმეტესი ნაწილი ისტორიული, ეთნოგრაფიული, სამეურნეო, კრიტიკული, ბიბლიოგრაფიული (მრავლად გაზ. ივერიაში). ურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ნაწარმოებთ გარდა აქვს მნიშვნელოვანი გამოცემულებიც, მათ შორის „საქართველოს ისტორია“ (პირველი სახელმძღვანელო, უკვე სამჯერ დაბეჭდილი), „საინგილო“, „ნაშრომი“ (მე-3-ე გამოცემა), „გიორგი სასაკაძე“, „გორგიჯანიძე“. „იოვანე შავთელი“, „შოთა მუსხელი“, „თამარ მეფე“, საქართველოს საეკლესიო ისტორია. „საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა და სხ. მისი ზოგიერთი გამოცემა ედირსა სათანამგონებო შეფასებას ინგლისის მეცნიერის მორფილისა და სხ. მის საეკლესიო მუხეუმში შრომასა და მოღვაწეობას საზოგადოდ მიაქცევს ეურადღება ბევრგან და სხვა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებამ ამოიჩინა თავის წევრად, ანუ წევრ-კორესპონდენტად. სოლო გვირგვინად მ. ვ. -ის. შრომათა უნდა ჩათვალოს „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, რომელშიაც თითქმის ერთი-ორად მეტი სიტყვა აქვს შეტანილი, ვიდრე ჩუბინაშვილისაშა, „ქართული მწერლობა“, რომელიც ვერ დაბეჭდა ამ საფუძვლს უქადადობის გამო ქალაქში.

ი—ელი

მთის არწივს

მთას ნისლი შემოეხვია, შუბლი შეკმუნა მდუმარე:
 შვილი მოუყვდა... აღარ ჰყავს... კენესის, ცრემლი სდის მდულარე!
 ჰგოდებს და მოსტევაშს ნაკადი, ვით ისრით დანაკოდები,
 თითქოს მას ბანსა აძლევენ თავ-ჩაქინდული ლოდები,
 ფოთოლი ჰქენება, დილის-ჟამს ცვარ-ნამით დანაკურები;
 ნაღვლისგან ისლსაც უგულოდ ჩამოუყრია ყურები...
 ნიავიც მთიდან ნატყორცნი, ზმუის ვაების ხმაზედა..
 ტყეს ყურს ჩასძახის:— „აღარ გყავს!.. მოგვიკვდა ობლებს, ვაჰ, დედა!“.
 მშველსა ჰსმენია, — გამფთხალა.. ნუკრიც შემკრთალა გულითა..
 მოსტევაშენ:— „ვინლა აგვწერავს ღირსეულ სიყვარულითა!?.
 „ვინ იღოს თავსა ჩვენდამი, უტყველთა, გამოსარჩლება?
 ვინ შეათვისოს მდევნელთა ჩვენდამი მოყვარულება?!..
 ... მხარე შვევით შემკულა... სდგას მოტქმა.. კენესა საზარი...
 — „აღარ გყავს ვაჟ-ფშაველი!..“ მწარედ გაჰკივის მთა-ბარი.

მ. ჭრელაშვილი

ს ა ზ ა ნ დ ა რ ი

(საზანდა)



ალა ალაქბარის მეჯლისი 1273 ჰიჯრისა (1855 წ.)

- 1) მირზა აბდულა ხან ალაილი მულქი; 2) მასულ მირზა; 3) ჰასან ხან;
- 4) მირზა ჰეიდ რ ალი სარჰანგი; 5) ალაქბარ ბაზიგიარ (მოთამაშე);
- 6) სოლთან ხანუმი, 7) ქოჯკაბ ხანუმი.

ნახატი მირზა აბულასანხან სუნულ მულქისა.

ბეგრი საუკუნოა რაც ეს სიტყვა ჩვენშია და არსებობს, სპარსეთიდან შემოსული მაგრამ დღეს, როგორც ქართველობა გულისა და თვალისა იშორებს ძველ ზნეს, ჩვეულებას, სამოსავს, ლექსთ-წყობას და ღვინის ენასაც; მათთან სიმღერა გლობას და დაკვრასაც იგიწყობებს... თითქმის უგელა ოჯახში მოიხატება ფორტეპიანო, გიტარა, ჩანდლინი, სკრიპკა და ეგრობიელთ სხვა საკრავები; ქიანური, ფანდურა, სანთური და თარი-კი თითქმის მოსზობილია და ბეგრმა არც კი იცის, როგორ უნდა მისი ხელში დაჭერა... საჭიროა ეგრობიელთ ეოველ მეცნიერების სწავლა, მაგრამ ჩვენიც კი არ უნდა დაევიწყეთ... თუმცა დღეს მას სუსტათა ვგონობთ, მაგრამ წარსული კი დიდი და ბრწყინვალე ქქონია, რაზედაც გვინდა ვილაზარაკოთ, მაგრამ როდესაც საზანდრობის შესახებ ვიწყებთ ღაზარაკს, ჯერ სპარსეთის მუსიკას უნდა შევხებით.

სიტყვა საზი*) სპარსულად ძნობაა, სა-

ზიობა; საზანდას და მუტრის უწოდებენ: მძნობელთ, მსახიობთ, მუსიკის მტოდნეთ და სხ. ამგვართ..

საერთო მუსიკალურ ისტორიაში მადალი და ბრწყინვალე ალატი უკავია სპარსეთის მუსიკას. სპარსელებს ცხოვრებაში უძვირფასეს საგნად ქქონიით მიღებული საზიობა; მუსიკის დაკვრაში ისე უოფიდან დახელოვნებულნი, რომ ბეგრჯერ დიდათ უსარგებლიათ. მაგალითად: არაბების მიერ ქ. ბაღდადის დაპყრობის შემდეგ ოცდაათი ათასი ტყვე განთავისუფლებული იქმნა სიკვდილით დასჯისაგანა, მუსიკის წყალობით, და ბეგრ ამ გვარი შემთხვევისგან დაუსნითათავი სამუსიკო ხელოვნების ძალით... მაგრამ ისლამის მიღების შემდეგ-კი მუსიკა დაეცა, სასულიერო წოდებამ აკრძალა, რამაც დიდი

უთანხმოება გამოიწვია თითქმის მთელ ისლამიაში: განუწყვეტელი ბასი და აურ-ზაური იყო მოღვლებსა და მწერალ მოშიარეთა შორის. აგრედვე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ თურქთ მოშიარებიც; მათ შორის უმაღლესი მოშიარე ფიზული ასე უზარსუხებს მოღვლებს თავის ერთ ლექსში: (მოგვეყვან ზნობადა)

— რეი, სალუსნო, თქვენ აჭკაძელთ ნასას*) ტკბილი ხმა? თქვენის აკრძალვით გააჭრწყელეთ ნამუსი ისლამისა. ვითომ განდოდათ საუბარი კაცობრიობაზე? უფალო!... ნასასებრ ავიღ ავიღად გექმნათ სხეული“-ო და სხვაც ბეგრი ამ ნაირი შაირი და წერილია მათ წინააღმდეგ.

ამსობაში მუსიკამ დაჭკარგა თავისი ძალა, დაჭკარგა უძვირფასესი თეორია და მისი აღწერა „რეღმი მუსიკა“ (მუსიკალური მეცნიერება), მართალია, დღესაც არსებობს ეს მუსიკის თეორიის წიგნი, მაგრამ ვეღარ ირჩევს მისი ნუსხები (ნოტა); აგრედვე დაკარგა მშვენიერი დასტ-

*) საზი — ფანდურასც ეწოდება.

*) ნასას — სალამურის მსგავსია, სპარსულად: ნეი.



მუტრიბი ქალი

(სპარსული მომღერალ-მომცემი)

გიატები, რომლის გეგარ ნაწარმოებს ეგრობიელნი სიმფონიას უწოდებენ...

აი, როგორ ემსგავსებიან დასტ-გიატები სიმფონიას, მაგალითად ავიღოთ ჩაქარგიატ.

ჩაქარგიატ—მეოთხე ნაწარმოებია (აბუსი) რომელიმე უძველეს მუსიკოსისა, ოთხ ნაწილად: მეოთხე მუსლი ანუ ჭანგი, მეოთხე გამმა, პირველი — „იექიატ“ ანუ „რასტი“. ამ გამმას ეგრობიელნი „დო მაჟორსა“ უწოდებენ; მეორე — „დუგიატ“ — „ფა მაჟორი“; მესამე — „სეგიატ“. ეს გამმა ჭგავს ბერძნების ერთ საეკლესიო ხმას გიზოფრიგიულს; მეოთხე — „ჩაქარგიატ“, რომელსედაც ჩვენ ვლანარაკობთ. მისი დაკვრა ეგრობიულ საკრავზე (ფორტეპიანოზე) რომ მოინდომოთ, შემდეგ სიმებზე უნდა ავაწყოთ: გ, ას, ჰ, ც, ხ, ეს, ფის, გ

ჩაქარგია თავის მეოთხე სიმფონიურ ხასიათს ასე გვიხატავს: ჩაქარგის დამკვრელი სახანდა ან მუტრიბი, მრისხანებით უნდა ადიოსოს, ჭიფირობდეს მხალღად ბრძოლის ველზე. რომღერალი ავეჯის (ტენორ) ხმით უნდა მღეროდეს არა სასიფუარულო ლექსებს, არამედ ქებას

ვინმე ბუმბერაზისას ან რომელიმე სამხარ ლექსს (ძან ეთანხმება ფირდუსის შაქნამედან ამოდებულ ლექსს), უოველ მუხლს თავის და გვარად, მაგალითად: გ „ღარამად ჩაქარგიატ“ — შესავალი; ჰ — „ხანაბილა“ (პირველა მუსლი): ტირილი, მწუხარება, ტრეში; დ — „ჩასარი“ (მეორე მუსლი): ციხე-გალაფანი, სიმაგრე, გამაგრება მტრის წინაშე; ეს — „მუხალიფა“ (მესამე მუსლი): მტერი, მტრის გამარჯვება, ციხის დანგრევა; გ — „მინსურია“ (მეოთხე მუსლი): გარს შეშორტემა, მტრისადმი დამონება...

ჩაქარგის გარდა სხვაც შეგვხდება ამგვარი სამაგალითო დასტგიატები, მაგრამ ხალხის მიერ უყურადღებოდ და მიტოვებული და სახანდარ-მუტრიბთაც-კი (მეტადრე კავკასიაში) ესაღისებათ ვალხის ან სხვა ეგრობიელთ ჭანგების დაკვრა (ნეტავი რიგიანად მაინც), ვიდრე თავიანთ საკუთრების დაკვრა, ან მასე ფიქრი, მის განსაკუთრებულად ან ასადორძინებლად... ამ საგანსე-კი ეგრობიელნი კომპოზიტორნი მუშაობენ. მე,მათი ნაწარმოების (Avazet Casnif Persan A. Lemaire) მხანველს, არა მჯერა, რომ მათ შეეძლოთ ამ მუსიკის (საერთოდ აღმოსავლეთის მუსიკაზე ვლანარაკობ) შემუშავება და კვლავ სულის ჩადგმა. არც იმათი შეიძლება ვირწმუნოთ, რომელნიც ათ-წლობით დარჩენილან კავკასიაში და კიდევ ვერ გაურჩევიათ ქართული ჭანგები სომხურიდან, თათრული სზარსულიდან (იხ. Кавказская музыка Корганова“).

ამასე საუურადღებოს გაიმბობთ. რუსეთში ჩემი მოგზაურობის დროს, ქ. მასკოვში ეგრობიელ მუსიკოსთა ერთ წრეში ჩამოვარდა ლანარაკი აღმოსავლეთის მუსიკის შესახებ და შემდეგ მთხოვეს, ჭიანურსე დამეკრა აღმოსავლეთის რომელიმე ჭანგი... დაკვრამ დიდს აღტაცებაში მოიფინა მსმენელნი. სხვა და სხვა გვარ ქებით იხსენიებდნენ აღმოსავლეთის მუსიკას... ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მთხოვეს დამეკრა... მეორედ დაკვრის შემდეგ აღარ მესმოდა ის ვაშა და ქება... მე ამ გარემოებამ ძან გამაკვირვა და მალეც გამოირკვა საქმე რაში იყო: თურმე ამათ მეორე მქსრულელებული პირველი ჭანგის განმეორება ეტანათ... როდესაც აუხსენი, სხვა და სხვა ჭანგები იყო მეთქი, ჯერ არ დამიჯერეს, შემდეგ დიდ გაკვირვებას

Handwritten notes and signatures at the bottom of the page, including the name 'კვიციანი' and other illegible markings.

მიეტენ... (პირველი -- „შუშტარი“ და მეორე „ბაიათი ისპანია იყო).

მოკლედ რომ ვსთქვათ, ევროპელებს ჯერჯერობით ვერ ესმით აღმოსავლეთის მუსიკის რაზე და ამის მიზეზიც ასე აიხსნება: ევროპელებს სმენას აღმოსავლეთის საქცევი (მენსურა) ძალიან ეწინააღმდეგება; მანკება უფროდოთ (ტაქტი) იკერის და რომელიც ფარდით იკერის, ისიც მეტი წილი არა ერთგვარ ფარდოვან ზომით, როგორც ევროპელებისაა გარდა ამისა, ევროპელებს ტაქტის შესდგება: თორმეტ ნაწილისგან, სმარსელებისა 17 ნაწილისგან; ქართული (საზანდრული) 19 ნაწილისგან, რომელიც გაგრძელებულია სადისს მიერ (კავკასიის სასელფიანი მეთარეა) მთელს კავკასიაში და დღეს ამ ხმაზე უკრავენ კავკასიის საზანდრები .

როგორ და რადის გაგრძელება კავკასიაში აღმოსავლეთის საკრავები, ამაზე შემდეგ წერილში.

ქალ. ოვანეზაშვილი

სამუოგლოს გეირი!

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 30—32)

— კაცო, მაი ჯვარი რომ გკილია — მაგას რაცხა პენციასო, არაფერი არ მოვა? — ჰკითხა ერთხელ ივანეს ცოლმა.

— მოვიდეს უნდა, აბა რა ვიცი...

— როდის მერე... ამის მეტი გაქვირება რაღა უნდა დაგვადგეს?.. შენ ასე ხარ, ბაღნები უპერანგოთ მყავს, ამ ორ დღეში სიმინდიც გამოილევია, და მკამლებიც უფრო ბევრი ვართ... რა მიწაში წავიდე მე უბედურმა.

— მე ვარ სამიწე, მე! — სთქვა ივანემ: ცოლის სიტყვებში შეამჩნია უკმაყოფილობა და ჩივილი.

— იი უღმერთოებიც საყანულს ახლა თხოულობენ, — ორი წლის გადაუხდელი გაქვთო, — ასე გამომიცხადეს... რა მოვახერხო, რა ვიფიქრო არ ვიცი... ღმერთი ბაღნებს არ მომიკლავდეს შიმშილით თვარა, სხვას ვინ ჩივა. —

— საყანულზე ახლა კრინტს ვერ დასძრავენ! — გაწითლდა ივანე, თვალეზი აენთო და ხმა აამაღლა: — მე თავი დავიღუპო, ოჯა-



ინგილოური დრამატიული დასი, სახელგანთადაცან შემდგარი, რომელიც, ეოველ წელიწადს მართავს რამდენიმე წარმოდგენას საინგილოში. სურათზე გადაღებული არიან ინგილოურს ტანისამოსში. ძირსა წყანან: მჭედლიშვილი, ხუციშვილი; შუაში სხედან: ორი დანი ივანციკები, ბაირამაშვილი, ხუციშვილი; სდგანან: მჭედლიშვილი; ბაირამაშვილი, ეულოშვილი, ხუციშვილი. (საგ. ვად „თეატ. და ცხოვ.“ ხ. ელილაშვილის მიერ)

ხიც დავაქციო, და მაგენმა მე საყანულზე მელაპარაკონ!.. აბა გაბედონ ერთი!..

— უხელოს და უფეხოსი კი არა — სალი რომ იყავი, მაშინაც არავის ეშინოდა შენი.

— ბაბას ტყუილათ ქამის... — წამოსცდა ბენის, მაგრამ დედამ სწრაფლ თვალი გადაავლო და შეაწყვეტინა.

ერთი თვე შესრულდა, რაც ივანე სახლში დაბრუნდა.

ის ყოველ დღე მოელოდა, — აბა, მოვავინმე მოხელე და გამოძიებას მოახდენს პენციის შესახებო.

ერთ დღეს ეწვია კიდევ ვიღაც უცნობი „კაკარდიანი“ კაცი ორი თანამხლებელით.

— ნამდვილათ აგენტია... მოსულან ჩემი მდგომარეობა დაინახონ და სიღარიბე-გასაჭარი შეამოწმონო, — იფიქრა ივანემ, როცა ისინი დაინახა: — აბა ჩინოვნიკ კაცს სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან.

მაგრამ როცა მოახლოვდნენ, ივანემ ისინი იცნო: „კაკარდიანი“ ბოქაულის მწერლად იყო ოზურგეთში — ივანეს იმისთვის თხოვნაც კი დაეწერინებინა ქალაქში, — დანა-

რჩენი ორი კი ბატონის მამულში მსახურობდა. ცოტა არ იყო, ივანეს ეჭვი შეეპარა.

— შენ ხარ ივანე შეწირულად?

— Такъ точно .. მე გახლავარ, დიასხი!.. მობრძანდით... უკაცრავათ, სკამს ველარ მოგართმევ .

— არა, მე მეჩქარება, საჯდომად არ მცალია. . კაცო, - უცებ აიმაღლა ხმა კაპარდიანმა, —სამჯერ ვარ აქ მო'ული და საქმე მაინც ვერ გამოკეთებია..

— უკაცრავად, მე პირველათ გხედავ, ბატონო,ერთი თვის მეტი არაა,რაც ჩამოვედი.

— მერე შენს ცოლს ხომ გამოუცხადე!

— გამაგებიეთ, ბატონო, რა გნებავთ. . რაშია საქმე...

— იმაშია, რომ ორი წლის საყანული არ გადაგიხდიათ... მაწვალეზთ ამ სიცხეში, მათრევთ.

მიხვდა ივანე, რომ ის ბატონის ახალი მოურავი იყო, და ცეცხლი აენთო გულში.

— შე ოჯახ-აშენებულო, არ ხედავ, რაც ვარ? და მერე კილა ახლა ნახეთ საყანულზე ლაპარაკის დრო? — ივანემაც აიმაღ-

ლა ხმა და პატარა თეთრს ჯვარზე ხელი მოიკიდა.

— შენთან სალაპარაკო თავი არა მაქვს და არც მცალია...მაძლევ, თუ არა,გეკითხები?

— კაცო, შენ ხომ არ გადარეულხარ .. სიდან უნდა მოგცე საყანული? და მერე შენ კილა რას ჰხედავ ჩემს შეწუხებას .. რა ნება გაქ? — იყვირა ივანე.

შეშინებულმა კაცომ თავი მიანება „ხოხოლის“ შენებას და მამას ამოეფარა.

— ნახავ, რაც ნება მაქვს, —დაცინვით სთქვა მოურავმა და მიუბრუნდა მოხელეებს:

— ახსენით ეს ძროხა და წაიყვანეთ... ხბო არ დასტრვოთ...

— მერე მე რას მიპირობთ... ჩემი ცოლ-შვილი სად მიგყავთ? —მე თქვენ ..

პატარა წაბლის ფერი ხბო თამაშით გაჰყვა დედას,რომელიც უკვე გაიყვანეს ქუჩაში.

— კი და სად დეიშალებით, სადა? . „ველიკი კნიაზს“ დაუკრავ ტრეფრამას...

ყვიროდა ივანე და მიაგორებდა ყუთს ქუჩისაკენ.

— ზაბა, ლეიზა წეიკანეს ცემი კეკანაიო?... — ეკითხებოდა კაკო...

გაბრიელ გოგუაძე

მ ე ლ ი ა

ჩამოსწყდა ია მწვანე, სათუთ ყლორტს, მდელოს ქვითინით დაეცა გულზე. ცელქო ნიავო! რაზე მოსწყვიტე ნაზი ყვავილი ამ გაზაფხულზე?! დაჰქრის ნიავე, ბიბინებს მდელი, ბალი ყვავილობს და იფურჩქნება მხოლოდ ია კი, აღრე მომწყდარი, ბალახებს შორის ჰქნება და ჰქნება!

დიდხანს დაეცქერდი ფერ-მიმკრთალ იას, სევდით ჰყრობილი ცრემლ-მორეული, მისმა სურათმა წინ გადმიშალა ჩემი ცხოვრების შავი რვეული, და შევეკითხე: „მითხარი, იავ, როცა მეჯლისობს ეს გაზაფხული, არ გენანება ამ დროს სიკვდილი, ნუ-თუ გაგიძღა სიცოცხლით გული? .

უცებ ნიავემ ჩამოიქროლა და აიტაცა ყვავილი ცაში და გავიგონე იის გოდება და ჩუმი კვნესა ნიავის ხმაში: „მივალ, გშორდები არევ მშობელო, კვლავ ვერ გიხილავ ტურფა წალკოტო: ცელქი ნიავე მიმაფრენს შორს, შორს და შენც, მშვიდობით, მშობელო ყლორტო.

მე გავიშალე გაზაფხულამდის, გაზაფხულამდის ვიწყე ცხოვრება, გაზაფხულამდის ვიგრძენ სიცოცხლე, ტანჯვა ძლიერი და ნეტარება. ვერსად ვხედავდი. მაგრამ მე ვიგრძენ ნიავის კოცნა, მზის სიყვარული... მე მარტოდ მოველ ამ ჰევყანაზე და მარტოდ მივალ ობოლ-ყული.

ეხლა-კი, ეხლა, როცა ჩემს ირგვლივ ნორჩი ფოთლები იფურჩქნებიან, ჩემთვის უცხოა იმათი ენა, ისინიც ჩემსას ვერ-რას ხვდებიან, თუმცა აღრე მოხვდა ჩემს ნორჩ სიცოცხლეს შავი სიკვდილის პირბასრი ცელი მაგრამ ვიტყვი რომ ჩემი ცხოვრება ტანჯვა-განცლითა გრძელია, გრძელი“...

როს გამოვერკვი, არ სჩანდა ია, ის ნიავეს სადღაც შორს წარეტანა და მაშინ ვიგრძენ —თურმე ვსტიროდი, ცრემლებით მკერდი ჩამომებანა. დიდხანს ვიდექი გულ-ხელ დაკრეფიო, გარინდებული დიდხანს ვფიქრობდი. თურმე ოცნებით გატაცებული, ჩემ თავს ჩემ ყოფნის ამბავს ვუთხრობდი!!!..

ღრუბელი



მხანობი პ. ფრანგიშვილი
სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო.

ბელნიერი დღე

(გაგრძელება... 1 ხ. „თ. და ც.“ № 32)

IX

სალომე და სერგო

სერ. (ღიმილით) რა გნებავთ, ქალბატონო?

სალ. (მწუჭადად) ის მნებავეს, რომ კარგი გასაჯობავი ხარ!

სერ. (ღიმილით) უჰ, რათა, ქალბატონო! რა დამიშავებია?

სალ. ის დაგიშავებია, რომ ლაპარაკი არ იცი.

სერ. რუსული თუ ქართული, ქალბატონო?

სალ. (ქაქალას აყრას) არც ერთი და არ მეორე, შე მუდრეგო!

სერ. (გაფცეხული იღიშება) აბა რაზე მიჯავრდები, ქალბატონო?

სალ. (მივა ახლას ფეხებს უბრაგუნებს) იმაზე, რომ ლაპარაკი არ იცი. შენი ტოლი ხომ არა გგონია ჩემი აპოლონი, რომ ხუმრობა დაუწყე?

სერ. ქალბატონო! მაპატიე, სიბრიყვე.

სალ. (განწმენილი) შე ვიცი შენი პატიება როგორ უნდა. (მოისმის კარების კაკუნს) გააღე ჩქარა კარები, ვილაც მოვიდა.

(სერგო მივა და კარებს ადებს. შემოდის ებნატე)

X

სალომე, ეგნატე და სერგო

ეგნატე (დაბალი ტანის. თხელი გაჭადა-რაგებული თმა და წვერი. მახელის ტანისამოსი აცვია, გახუნებული, გულზე ჯვარი ჰქვია. ღაპარაკობს ნელა. ქედს მოიხდის და საღამოს ხელს ჩამოართმევს დიმილით) ბოდიშს მოვითხოვ, სალომე, რომ უდროოდ დროს მოვედი. როგორ ვიკითხაოთ, როგორ ბრძანდებით?

სალ. (მიიწვევს სკამზე) მობრძანდით, დაბრძანდით, ბატონო ეგნატე, ბოდიში შეუნდა მოვიხადო რომ აქაურობა არეულია. (ორნივე დასხდებიან ბიჭს) აბა სერგო! სამოვარი ჩქარა.

ეგნ. თქვენ არ მომიკვდეთ. არაფერი საკირო არ არის. ჩიი კარგა ხანია ვიახელით.

სალ. (ბიჭს) მაშ გასწი და სადილი მამზადე. (ეგნატეს) სადილად კი ვეღარ გაგიშვებთ ბატონო ეგნატე. (სერგო გადის)

ეგნ (იფინის) გმადლობთ სალომე, მოვესწრებით ერთი-მეორესთან მისვლა-მოსვლას და სადილობას. დღეს თუ ვერ დავრჩები, ნურას უკაცრაოთ. დღეს მინდა პატარა ვახუშთი გავმართო, რამდენიმე ჩვენი ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე მოვიწვიე. გთხოვთ თქვენც და აპოლონიც გვეწვიოთ იმედია, უარს არ მეტყვიოთ.

სალ. (ღიმილით) დიდის სიამოვნებით, მაგრამ სადილად მაინც ჩვენსა უნდა დარჩეთ.

ეგნ. მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია, უნდა დროთი მოვემზადო თქვენ დასახვედრად.

სალ. (ტუჩებ აპრუწვით) თქვენი ნებაა, რა გაეწყობა

ეგნ ბატონი აპოლონი როგორ ბრძანდება, სადა ბრძანდება?

სალ. (დადონებული) ეჰ! როგორ იქნება, დღე მაგას მოსვენება არა აქვს და ღამე.

ეგნ. დრო გამოიცვალა, დრო, სალომე. ახლანდელი უმწველილები თავის თავზე და ოჯახობაზე სულ აღარ ფიქრობენ. ჩვენც ვაკეთებდით საქმე, მაგრამ ცოლიცა გვყავდა, შვილებიც და ოჯახსაც უვლიდით.

სალ. ახლანდელი აღარც კაცი ვარკა და აღარც ქალი. თოთხმეტი წლისა ვიყავ, რომ გავთხოვდი და მთელი ოჯახი თავზე დამაწვა, ჩემი მოსვენება არ იყო. დილით ისე აღრე ვდგებოდი, რომ ქათმებსაც კი ეძინათ. ახლანდელ ქალიშვილებს კეტით რომ სცემოთ, შუადღემდე ვერ ააყენებთ.

ეგნ. (სიცილით) წინათ ერთ კვირას რომ არაფერი მექამა აინუნში არ ჩავიგდებდი და ეხლანდელ ყმაწვილებს თუ მუდამ შოკოლადი და ყავა არ მიართვით, მუცლის ალიაქოთი მოსდით.

სალ. (მწუხარედ) აბა იმისთანა ვაჟკაცს სად ნახავთ ეხლა, როგორც განსვენებული ჩემი ქმარი გაბრიელი იყო. (თავს აქანებს) ერთ ჩაფ ლენოს ისე დაღვედა, როგორც ერთ ქიქას, ეხლანდელმა ყმაწვილებმა ერთი ქიქ, რომ უალიონ ჯამ-ქურტელს თავზე დამტვრევინ.

ეგნ. (დომილით) ჩემს დროსაც ვიყავით ახალგაზრდები ე კლუბები და თეატრები არ გვქონდა, ჩემო სალომე, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებდით. წარმოდგენებს ვმართავდით, გაზეთიც გვქონდა... მახსოვს ერთხელ „ზაიყუში“ ვითამაშეთ. მე რევაზ თავქარიანის როლს ვთამაშობდი და ძალიანაც ვასიამოვნე საზოგადოება.

სალ. (სიცილით) უი ქა რა კარგი იქნებოდით.

ეგნ. (სერიალურად) ყველანი ვშრომობდით ქვეყნისთვის. (წამოდგება და მივა ახლავს, მეტად საიდუმლოდ ეურში ეჩურჩულებს) იცით, სალომე, საქართველოს განთავისუფლებაც კი გვინდოდა. (შიშით აქეთ-იქით ისეღებებს) ხომ გახსოვს თბილისში რომ „ბუნტი“ იყო?

სალ. (გაოცრებული) როგორ არა, მახსოვს. მე მაშინ პატარა ვიყავი.

ეგნ. (საიდუმლოდ) აი იმ „ბუნტში“ მეც ვიყავი,

სალ. (შიშით) უიმე! მერე როგორ გადარჩით?

ეგნ. (აშკარად) როგორც ხედავთ, კიდევ გადავრჩი და არც არავის ჩემთვის საყვედური არ უთქვამს. წინათ ისე კი არ ვიყავით „დაპარტიცებული“, როგორც ეხლა არიან

და ერთმანეთს სქამენ. მღვდელი, დიაკვანი, თავადი, აზნაური და გლეხი ყველანი ერთად ვიყავით და ერთი პირი გვქონდა. ეჰ! დროება გამოიცვალა, სალომე!

სალ. (თავს აქანებს) ეჰ! დიად, გამოიცვალა, ჩემო ეგნატე. (ცოტა ხანს ოწნივე დაღუშდება) სხვა, ბატონო, ეგნატე, როგორ ბრძანდება თებრო, სონა?.. შევეყვით ლაპარაკს და სულ დამავიწყდა მეკითხა.

ეგნ. (დომილით) არა უშავს, კარგად გახლავან.

სალ. (მწუხარედ) აგრე იცის სიბერემ, ჩემო ეგნატე, ასე ახლო ვსცხოვრობთ და ამდენი ხანია ერთხელ ვერ გადმოვედი თქვენსა. რამდენი ხანია თებრო არ მინახავს. ჩემი სონა ახლა მშვენიერი და ლამაზი ქალი იქნება.

ეგნ. (დომილით) იცოცხლეთ, ის კარგი ქალი დადგა. ისე უკრავს ფორტეპიანზე და მღერის, რომ მოგეწონებათ. ოჯახობას ნულარ იკითხავთ, მთელი ღღე ქარით ტრიულტებს.

სალ. (ეშმაკური დომილით) თუ დავაწერინე პირჯვარი ჩემს აპოლონს, ჩემისთანა ბედნიერი არავინ იქნება.

ეგნ. (გახარებული) თქვენ იცით... ეს კი იცოდეთ, სალომე, რომ არას წაავებს აპოლონი, ცოლიც კარგი ეყოლება და მოყვრებსაც მგონი არა გვიშავს რა.

სალ. (მხიარულად) აბა რას ბრძანებთ, ბატონო ეგნატე, თქვენისთანა მოყვარეს სად ვიშოვნო.

ეგნ. ამ ერთი ქალის მეტი არავინა მყავს და თუ რამე გამაჩნია — მისი იქნება.

სალ. ღმერთმა მოგცეს, ბატონო ეგნატე. ვნახოთ, მოვალთ, ნახავს, გაიცნობს და შე იმედი მაქვს ეს საქმე სულ აღრე გაათავოთ.

ეგნ. (აღფრთხვანულით) ჩემისთანა ბედნიერი კაცი ქვეყანაზე აღარავინ იქნება მაშინ.

სალ. (მიასლოვდება) ნეტა მაგ ღღეს მოვესწრობოდე და მერე სიკვდილს არად ჩავაგდებ. (შემოღის აპოლონი) აი აპოლონიც.

XI

სალომე, ეგნატე და აპოლონი

აპოლ. (კიდევ ვერ დამშვიდებულა და ადუღებდა ეტუბა. ქუდს მოხდის და დაჯდება. მივა ეგნატესთან და ხელს ჩამოართმევს) ბატონ ეგნატეს ვახლოვართ.

ეგნ. (წამოდგება და ალყრისანად) როგორ ბრძანდებით, ბატონო აპოლონ?

აპოლ. დაბრძანდით. (დაჯდება. ეგნატე დაჯდება) გმადლობთ. სხვა, თქვენ როგორ გიკითხოთ?

ეგნ. (დამიღიო) გმადლობთ. სხვა ახალი რა იცით, ბატონო აპოლონ?

აპოლ. (მწარე დამიღიო) ახალი? რა უნდა იყოს ჩვენში ახალი? ერთმანეთის ქიშპობა, ლანდვა-გინება და სხ... ერთი მეორეს სქამენ და საზოგადო საქმე კი იღუბება. იმ ზომამდე მიგიყვანენ კაცს, რომ ყველაფერს თავს დაანებებ.

ეგნ. (წუენით) ცუდი ამბავია, ცუდი, თქვენმა მხემ. ეჰ, სად არის ძველი დრო? (წამოდგება. სალამეს) ეჰ, ძალიან შევექეცი ლაპარაკს და შინ წასვლა კი დამავიწყდა. (ახლანს) გთხოვთ დღეს სალამოზე ვახშათ გვეწვიოთ, სალომეს უკვე ვთხოვე, თქვენი მეგობრები იქნებიან და გაეცანით ჩემს ოჯახს.

აპოლ. (წამოდგება) დიდის სიამოვნებით, მაგრამ დაბრძანდით, ბატონო ეგნატე, რად იჩქარით. (სალამეს) დედა, სადილი არ არის?

ეგნ. გმადლობთ სალომემ ბევრი მთხოვა, მაგრამ რომ არ შემიძლია დარჩენა. ხომ უნდა მოვემზადო დასახვედრათ? ნახვამდის. (ხელს აართმევს)

აპოლ. (ჩამოართმევს ხელს) ნახვამდის... მაგრამ ეგ როგორ შეიძლება, „ზაკუსკა“ რამე მიინც რათ არ მიართვი?

სალ. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არა ქნა, შეილო

ეგნ. (ჩამოართმევს ხელს სალამეს) რად იწუხებდი თავს, კიდევ მოვესწრებით. ნახვამდის. მაშ მოგელით (შიდას კარებადვე სალამე და ახლანს მიახლოებენ. გადის)

აპოლ. (დადის ადუღებულად) დამაცადეთ, დამაცადეთ! გავცემ პასუხს.

სალ. (უაღრესებს) კარგი, შეილო, გენაცვალოს, დედა, ნუ ლეღავ.

აპოლ. ოჰ! თუ ჩამივარდა ხელში, მე ვიცი მისი პასუხი. (მუშტს იქნევს) ისე დავბუმბლი, ისე რომ ერთი თვე ლოგინიდან ველარ ადგეს. (შემოდის ბიჭი)

XII

ივინიეუ და სერგო

სერ. სადილი მზად ვახლოვთ, ბატონო!

აპოლ. ბიჭო! დღეს აქ ხომ არავინ ყოფილა?

სერ. ბიჭი გახლდათ გაზეთიდან. სხვა არავინ.

აპოლ. მერე რა გითხრა?

სერ. გაზეთის რედაქტორმა გამომგზავნაო, შენმა ბატონმა წერილი გამომიგზავნოსო.

აპოლ. (ძლიერ გაბრაზებულად) ჰაა! წერილი?! ამით უნდათ ბოდიში მოიხადონ? მე ვიცი თქვენი პასუხი. (დადის და მუშტს იქნევს)

სერ. (ეშაკურად იღიბება) ი ვილაცოხერი ბიჭი იყო, დაიწყო ლაპარაკი, შენი ბატონი როგორ არის, ავად ხომ არ ვახდაო, გაზეთში ვალანძღესო. მე ბევრი აღარ დავაცალე ერთი ორი კაი პანდური მივაყოლე და გავადღე.

აპოლ. ყოჩაღ! ყოჩაღ ჩემო სერგო! სალანანები, მე ვაჩვენებ მაგათ თაშას, ოჰ! კიკოლიკა, თუ ვიკოცხლე შენთვის... (დადის პეტად ადუღებულად)


სალ. (ეხვევა და ამშვიდებს) კარგი, შეილო, გენაცვალოს დედა! დამშვიდდი (მაჭყავს ხელ-ნელა) წამო, შეილო, ვისადილოთ. შემდეგ მოისვენე, სალამოზე ეგნატესას გადავიდეთ და გავერთოთ, წამო გენაცვალე! (შიდას ხელს და)

აპოლ. (უვირას) დამაცადეთ! დამაცადეთ, თქვე პაპულებო! (სერგო დრეკით უკან მასდგეს)

ფ ა რ დ ა

პ. ირეთელი

(გაგრძელება იქნება)



შ ა რ ა დ ა

სოველში უფრო იციან ხარშოსთვის იმის კეთება, მაგრამ თუ ცხელი მოგართვეს, გიტყვდებით შიშის ფეაება!

მცენარეცაა სარგები, იმავე სახელს ატარებს და თვისი წვრილი ნაყოფით წიწილა-ჩიტებს ახარებს.

პირველი ასო მოსწყვიტეთ, სხვა ჩაიკითხეთ მთელადა:

გამოვა იგი, რაიცა მრავალ ხალხს ითხოვს მსხვერპლად...

იეტა

ქართული სახიობა

სოფ. მარტყოფში (თბილისის მაზრა) კვირას, 19 ივლისს, ადგილობრვ სცენის მოყვარეთ წარმოდგინეს ასაკო ცაგარლის „ციმბირელი“. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ წარმოდგენამ მეტად მწყობრად ჩაიარა. თითქმ ს სრულიად უნაკლოდ. თავით ბოლომდინ პიესის შეთანხმებულ-მეწყობილი მსვლელობა არ დარღვეულა. ამ სადამომ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ სადაც ერთსულოვანი მუყაითობა და მუშაობა გაჩაღებული, იქ საქმე მუდამ კარგად დაბოლავდება. ღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ სადამომ ყველა მოთამაშენი, ქალი და კაცი, ხალისიანად თავის როლის შესრულების გარდა, დაუზარებლად უწყობდნენ ერთმანეთს ხელს სცენის შეცვლა—მოწყობაში, რის გამო ანტრაქტები სულ რაღაც 10—15 წუთი გრძელდებოდა, რაიც არა ჩვეულებრივი მოვლენა სოფლის სცენაზე.

ბილეთების ფასები, შედარებით წინა წარმოდგენებთან, დაკლებული იყო, და დამსრეთა დიდს უმეტესობას გლეხ-კაცობა შეადგენდა. ეს, რასაკვირველია, მეტად სასიხარულოა: სახალხო თეატრის აუდიტორია ნამდვილი ხალხი უნდა იყოს.

ვერ არმოდგენთ, როგორ მოეწონათ დამსრეთთ ეს პიესა. არ მოველოდით, თუმცა გასაკვირველიც არაფერია: ამ მეტის მეტად ცოცხლად დაწერილ დრამა-კომედიაში ყველაფერი მარტივი და ნათელია: ჩვენი ხალხი იცნობს მახუთიანის გუმბარ სუცილებს, ნაცნობია ისთვის იოვანეს დაღუპულ ოჯახის უმწეო მდგომარეობა, იცნობს დარდიმანდ პეტუსა, რომელიც, მთელი ქალაქის სიდიდრეც რომ აჩუქოთ, არ უღალატებს მმა-ბიჭს ოჯახს. ყველა ეს

ნაცნობია, ადვილად გასაგები, და ამიტომ მოსწონს ჩვენ ხალხს ამ გვარი პიესები უგულითადესი მაღლობა სცენის მოყვარეთ და აგრედვე ბ-ნ შაქრო სულთანიშვილს, რომელმაც არ დაიზარა და მოთამაშეთ მშვენივრად გაუკეთა გრიმები. ვუსურვებთ ხალისს და ძალ-ღონეს, რომ შემდეგაც არ მოველოთ ჩვენი ხალხისთვის ამისთანა სასარგებლო და სასიამოვნო გასართობები. მართალია, ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობებათ წინ, ბევრი რამ უშლით ხელს, ბევრ სოფლის ბობოლას არ ესიამოვნება მათი ამ დარგში მუშაობა, მაგრამ ამით გული არ უნდა გაუტყდეთ. უფრო გაცხოველებულის ენერგი თ უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი და, რამდენადაც ეს მოსახერხებელია, მჩქეფარე ნაკლათ შეიჭრან მდორედ ქცეული გლეხის ცხოვრებაში.

ჯიუტიტო.

ბაღდაღში შაბათს, 11 ივლ. შალვა ჯაფარიძის გამგეობით წარმოდგინეს დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ქსენია და შ. ჯაფარიძეების და ვარლ. ჩხიკვაძის გარდა მონაწილეობდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარეთა ახალი ძალები, რომელთაც მოხდენილი თამაშით მოლოდინს გადააქარბეს და ხელი შეუწყვეს კომედიების მწყობრად ჩატარებას. მესამე განყოფილებაში რაკითის მომდგრალ ქალ-ვაჟთა გუნდმა იმღერა „მზე შინაო“, „მადლობეზე“ და ყარაშვილის „სამზობლო“. მომდგრალთა გუნდს დიდის ალტაყებით შეხვდა საზოგადოება. დასას ულ შალ. ჯაფარიძემ და პროკოფი აბულაძემ „ვაი-ვუის“ ხმაზე, ხოლო ვასილ აბულაძემ და ვარლ. ჩხიკვაძემ „მიცოცავს“ ხმაზე იმღერეს კუპლეტები ადგილობრივ ჰირ-ვარაშზე და ბევრი აცინეს საზოგადოება.

მაღლობა ახალგაზდობას, რომ ასე ერთსულოვანად და ენერგიულად ეკიდება ხალხის სამსახურის საქმეს და ისეთ უხერხულ პირობებში, როდესაც სოფლად წარმოდგენების მართვა გასაჭირს წარმოდგენს, თითქმის ყოველ კვირას ზედი ზედ ასწრებენ წარმოდგენის მოწყობას. ბა დაღში ეს მეოთხეჯერ გაიმართა ამ მოკლე ხანში წარმოდგენა და რაკითში ერთხელ.

— — —

ქუთაისის ქართ. დრ. საზოგადოებას ახალ გამგეობას გადაუწყვეტია, ტანი! ამოსი თეატრის გარდერობიდან და პიესები არავის ათხოვოს, რითაც დიდს გაჭირვებაში აგდებს პროვინციის მსახიობთა და სცენის მოყ არეთ. ბევრი საჭირო პიესა დაბეჭდილი არ გვეპოვება, ეს ერთი, მეორე—ისტორიული ტანისამოსი რომ სცენის მოყვარემ შეაკერინოს კიდევ, პირველი—ის ისტორიული არ იქნებ და მეორეც—რა თანხით, როცა შემოსავალი 40 მანეთს არ აღემატება. ქუთაისის თეატრს გარდერობში მოეპოვება საკმარისად ისტორიული ტანისამოსები: კარგი და ცოტა მდარე. აი ეს მდარე ტანისამოსი რომ

გააქირაოს და შემოსული ფულით შეაკეთოს ტანი-სამოსები უკეთესი იქნება. რაც შეეხება პიესებს, მე მგონი, მის განათხოვრებით არაფერი დაზავდება, ამით ჩვენ საქმესაც ხელს შეუწყობს, რაც მისი პირ-დაპირი მოვალეობაა. თორემ ზოგერთ საჭირო ისტორიულ პიესის უქონლობით პროვინცია დანატრულე-ბულია ისეთ წარმოდგენას (ისტორ. პიესებს), რომე-ლიც ახლა უფრო საჭიროა.

მსახიობი

სოფ. ქვემო ბაქურციხეში (სიღნაღის მაზრა) 19 მკათათვეს შალვა დადიანის, ელო ანდრონიკაშვილის და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით დანიშნული იყო წარმოდგენა, ქართულ დამწვარ თეატრის და აქარლების სასარგებლოდ.

წარმოდგენილი იქმნა „მორევი“ და „რაც არ მერგება არ შემერგება“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; შემდეგ გაიმართა ვახშამი. წარმოდგენას სრული შემოსავალი იყო 333 მან. 25 კ. ხოლო წმინდა შემოსავალი დაგვრჩა 51 მან 34 კ., რასაც დღევანდელი გიგანით და გთხოვთ გარდასცეთ სადაც ჯერ არს ერთი ნახევარი ქართული თეატრის ასაშენებლად და მეორე ნახევარი კი აქარლების სასარგებლოდ.

ჩემის მხრივ მადლობას ვუძღვნი ბ. შალვა დადიანს, ელო ანდრონიკაშვილს, ელო სამადაშვილს, კნ. ელო ვაჩნაძეს, ბ. მოსაშვილს, ბ. ჭეიშვილს, თ. ვ. დ. ვაჩნაძეს, ბ. კ. გაბაშვილს და კნ. მარო ციციშვილს, რომელთაც არ დაზოგეს შრომა და მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე ზემო ბაქურციხელ სცენის მოყვარეებს.

გამგე წარმოდგენას კნ. ელენე მიხეილის ასული ანდრონიკაშვილისა. (ს. ფ. 4)

ბორჯომში რუსულ დასს შემოსავლის მხრით საქმე იმდენად ცუდად წუხიდა, რომ 23 ივლ. მოქმედება შესწყვიტა. მარიამობისთვის შუა რიცხვებში აქაურ წ. კ. გ. ს. განყოფილებას და ინტელეგენციის ერთ ჯგუფს ჰსურთ გამართან დიდი სეირნობა—წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით ხსენებული საზ-ბის განყოფილების და წყალ-დიდობისგან დაზარალებულ იმერელთა სასარგებლოდ. შაბათს, მარიამობისთვის, ხაშურის ქარ. დრ. წრემ მსახიობი. ზარდალიშვილის მონაწილეობით აქაურ თეატრში წარმოდგინა „მშენებელი ელენეს მძებარნი“ და „ვაი ყობოს“, დივერტისმენტით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული წარმოდგენები აქ იშვიათად იმართება, ამ წარმოდგენას ხალხი საკმაოდ არ დაესწრო. ამ წარმოდგენის წინა ღამეს-კი ამავე თეატრში ბ. ესებუამ კუდაობა გამართა და იმდენ საზოგადოება დაესწრო, რომ დარბ ზში ტევა არ იყო და ზედ-მეტე ბილეთების გაყიდვით საშინელი უწყეობა სუფევდა.

კვირას, 2 მარიამობისთვის, აქ ცველირსეთ „აქარელთა დღეს“ ქართველი ქალ-ვაჟნი ჰყიდდნენ გაზეთ „ქმურ სიტყვას“. დიდი მადლობის ღირსი არიან ის პირნი, რომელთაც თვით შრომა არ დაზოგეს ამ კე-

თილ საქმისათვის და მთელი დღე მას შესწირეს; ესენი არიან: ქ. ქ. დ. ვაშაკიძისა, ე. ახალკაცი, თ. ხმალაძე, მ. ჟორჯოლიანი, თ. ტაბატაძე; ბ. ბ. გ. ვაშაკიძე, გ. ნანიშვილი, ა. ასხაბაძე, მოშიაშვილი და სხ. „კრუშკები“ დაიხსნა და დაითვალა ბოქაულის თანამემწის ბ. მა სურაძის, გ. ვაშაკიძის და დ. ძნელაძის თანადანსწრებით. სულ შეგროვდა 100 მან 39 კაპ.

დ - ე

დ. ხაშურში ხუთშაბათს, 6 აგვ. ბ-ნ ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგინეს „ადვოკატი მელაქე“ და „ელენე“. არც ერთი მათგანი მხატვრული ნაწარმოები არ არის, შინაარსითაც მეტად მოიხსუსტებს და, საკვირველია, ხაშურის დრამატ. წრე ასეთი პიესებით რათ გაუმასპინძლდა ადგილობრივ საზოგადოებას! ეს ერთი ხანია ასეთი უშინაარსო და მოძველებული პიესები იდგმება აქაურ სცენაზე და ალბად ესაა მიზეზი, რომ ხალხი დაფტთხა, და უკანასკნელ წარმოდგენასაც საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. რაც შეეხება ამსრულებელთ, უნდა თქვას, რომ ზოგიერთების გარდა, თავის ადგილას არიან იყო. მოთამაშეთაგან განირჩეოდნენ ქ-ნი ნ. ყაჭიეშვილისა, ქ-ნი ქ. კალაძე, ბ-ნი ნ. სიხარულიძე და მ. კვლიაშვილი. სასურველია, ხაშურის დრამ. წრე უფრო რიგიან პიესებს მიაწოდებდეს ხალხს.

ე.-კა

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

◆ **ვალ. გუნი** კახეთს გაემგზავრა წარმოდგენების სამართავად.

◆ **მსახიობ ალ. ჟალაგაიშვილის** საბენიფისოდ დღეს, 16 აგვ. დ. ყვირილის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ზღვასთან“, პიესა 3 მოქ.

◆ **დიმ. ზინაბრიშვილმა დასწარა** დრამ. ეტიუდი „ორი ძმა“ 1 მოქ. საქართ. მეXVIII ს. ისტ.

◆ **აშუთისის გუბერნიის წვრილი კრედიტის** ზოგიერთ ამხანაგობას ქართული თეატრის ასაგებთანის გასაძლიერებლად გადაუღვია ნაწილი მოკვებისა.

◆ **კომპ. ა. პარაშვილი სწავის** ოპერას ბალეტით. სიუჟეტი — „ვეფხის ტყაოსნიდან“.

◆ **ჟურ. „ახალი მოამბის“ გამომცემი**, უქალღობისა და სხვა ტენიკურ დაბრკოლებათა გამო, გვიან დაიწყებ. მასალები რედაქციის იმვე მისამართით უნდა ეგზავნოს.

ხარაზუმის დრამ. წრეს, წრის თავმჯდ. გ. შათირიშვილის მეცადინეობით, კავკასიის სამხედრო უფროსის გენ. ვოლსკის განკარგულებით უკანვე დაუბრუნეს სასცენო დარბაზი (აბანოებთან), რომელიც ამას წინად ჩამოართვეს ქალაქის უხუცეს მამათა მოწყალეობით ვითომდა სამხედრო სასწეულოს მოსაწყობად.

◆ **მსახიობი ვ. ფრანგიშვილი** სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

◆ **ახალი პიესა „გზა“**, სოფლის ცხოვრებიდან, დასწერა ს. ქურიძემ. პიესა ერთ წრეში წაიკითხეს და მოიწონეს. ავტორს ურჩიეს ზოგიერთ აღგილის შესწორება.

◆ **დაჯარალბულ ქართულ მკვამლიანთა** სასარგებლოდ მ. ჯანაშვილი ბეჭდავს თვის ნაშრომს „მესხეთი“

◆ **სოფ. სატიოხალაში** სცენის მოყვარეთა მიერ ი. თარალაშვილის მოწაწილებით ადგილობრივ სცენის სასარგებლოდ 18 აგვ. წარმოდგენილი იქნება ივ. გომართლის „ქოხში“ და ივ. მაჩაბლის „აღვაკატი მელაძე“.

◆ **ჩაჟისოკრ-მსახიობი შალ დადიანი** და ელო ანდრანიკაშვილი, როგორც გავიგეთ, წელს ბაქოს დრამ. წრეში ველ. რ. იმუშ. ვებენ მათგან დამოუკიდებელ მიზნითა გამო.

◆ **ქართ. კულტურის მოქმედებთა საზ-ის** თავმჯდ. გ. ჟორდანიას ახალი მოხსენებანი დაუზადებ ა, ამ თვის ოცში თბილისს დაბრუნდება და გამგობა ჩვეულებრივ მუშაობა გააჩაღებს.

◆ **სონის თეატრს** წაქცეული ლამფით (6 აგვ. ნ. ჯავახიშვილის ბენეფისის დრ.) ცეცხლი გაუჩნდა. დარბაზში დიდი ალიაქოთი ასტყდა. სერ, მამალაძისა და ვლ. ივანოვის მეცადინეობით ცეცხლი მალე ჩაქრეს.

◆ **მგოსანმა ბალმონტმა** უკვე გადასთარგმნა „ვეფხისტყაოსანის“ ათი თავი. მგოსანი საშემოდგომოდ გვეწვევა და რამდენიმე ლექციას წაიკითხავს.

◆ **ხარჭუხის კლუზში** 6 აგვ. გაიმართა სალიტერატურო-საკონცერტო საღ. მო. ნ. ერისთავის, ვანო სარაჯიშვილის, ქ. ყურაღ. ოვის და პ. ფრანგიშვილის მონაწილე ბით. მრავლად დამსწრე საზოგადოებამ განსაკუთრებით მოიწონა ნ. ერისთავი, რომელმაც რამდენიმე ლექსი წაიკითხა გრ. ორბელიანის, აკაკის, ვაჟასი და ერთიც რუსული, და ვანო სარაჯიშვილი, რომელიც რამდენჯერმე გამოიხმეს ცხარე ტაშით. კვირას, 9 აგვ. ქართულმა და მა ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგინა „მშვენიერი ელენე“ დაესწრა დიდძალი საზოგადოება. წარმოდგენამ მზიარულად ჩაიარა. ამავე დასმა კლუბის სცენაზე ოთხშაბათს წარმოადგინა „გულმა იგრძნო“ და „დუელი“. ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **საბურთალოს თეატრში** 9 აგვ. გაიმართა სალიტერატურო დილა.

◆ **ნაკალადვის თეატრის ჩაჟისოკრა პ. სვიმონიძემ** რედაქციას გადმოსცა გ. ფოცხოველის (ხერხეულიძის) პიესა „მშობლების ბრალი“, რომელიც ავტორს მისთვის წარმოსადგენად გადაეცა. პ. სვიმონიძის თხოვნით, ეს პიესა გადაეცემა განსვენებულის ქვრივს კნ. ქ. ხერხეულიძისას, მისი ქმარის კრებულში მოსათავსებლად.

◆ **შპრისცვალობას დარისი მონასტარში**

ანტონ ეპისკოპოსის მწირველობით მრავალი ხალხი შეიკრიბა. წირვაზე გალობდა ს. ხაშმელ გლეხთა გუნდიც ეპიტაფილის ლობარობით. ხაშმელ გლეხთა გუნდმა, 7—8 კაცისგან შემდგარმა, ბევრი საგალობელი საუცხოვოდ შეასრულა და თვისი ხალხური, ნამდვილი ქართული კილოთი ფრიად საამო შთაბეჭდილება მოახდინა. გლეხთა შეწყობილი ტკბილი ხმა და გარეგნობა—დაკარებული ხელები, ჩოხა, —ახალუხი და თექის ქუდები საერთო ყურადღებას იქცევდა. როგორც შევიტყეთ, ყოვლად სამღვდლო ანტონის განუზრახავს, სხვა და სხვა სოფლებშიაც გლეხთა ასეთი გუნდების შედგენა-მოწყობას ხელი შეუწყოს.

◆ **შურ. „თეატრი“ და ცხოვრების** ერთი ასოთამწყობთაგანი პორფილე გორგოშიძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

◆ **ვაჟას დაქრალვის დღეს. 2 აგვ. სარ-თიხალაში** იერის სადგურის უფროსის ზალდასტანიშვილის თაოსნობით და რკინის გზის მუშათა მონაწილეობით დიდის ზემოთ ამოიტანეს ორი გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისა: ერთში მოთავსებული იყო ვაჟას სურათი ზედწარწერით: „ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა“, მეორე ძაძით რყო შემოსილი. პროცესიას სოფლის ბლოში მიეგებნენ ადგილობრივი გლეხნი, მღ. დავითაშვილის წინამძღოლობით აქ მცირე პანაშვიდი გადაიხადეს, შემდეგ პროცესია გამოემართა სართიკალის ეკლესიაში, სადაც გადინადეს პანაშვიდი მგოსნის სულის მოხსენებლად. ეკლესიაში სიტყვები წარმოსთქვეს მღ. დავითაშვილმა (ვაჟა-ფშაველას საზოგადო მოღვაწეობაზე) და მუშა მ. წიგწიგაძემ (ხალხს გააცნო ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია—ვიწიანობა და ღვაწლი). ხალხი მოწიწებით უსმენდა ვაკვირვებულები; „პაი, დედასა რა დიდი კაცი ყოფილაო!“

◆ **„არტისტ. თეატრის“ გამგე ა. ს. ბუზენი** გარდაიცვალა. იგი ცნობილი იყო ვითარცა სათეატრო საქმის მუყაითი კაცი, სცენის დიდი მოყვარული და თაოსანი. დაკრძალეს დიდუბეში. კუბო შემკული იყო ცოცხალ ყვავილთა გვირგვინებით.

◆ **ლაგოდხში** (კახეთი) მოწინავე პირთა წყალობით პირველ მასიდან მოქმედება დაიწყო ახლად შემდგარმა „შრომა-ლაგოდხის სცენის მოყვარეთა წრემ“, რომელიც ბევრთად შეუდგა საქმეს და სისტემატიურად მართავს თვეში ორ წარმოდგენას, საქველმოქმედო მიზნით და სახალხო ფასებში. (50 კ.—10 კ.) ხალხი ხალისით ესწრება ყოველ წარმოდგენას; სასურველი საფლისთვის საჭირო პიესები გაუგზავნონამახლად აღორძინებულ სცენის მოყვარეთა წრეს (მისამართი: Сигнахь-Лагодехи Геронтию Сачиновичу Чикваидзе).

ახალი გამოცემა
ეველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიძუპათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად აღდიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა-გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგეარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს).

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“
იოს. იმედაშვილი.

გამოვიდა და ისყიდება სამეზარეულო

„სორაპანის“ გამოცემა ქართული და ევროპული სკმელების სრული

ყლით 1 ნ. 40 კ. მისამართი: Тифлисъ. Типогр. „Сорапань“ Мих Спир Гачечиладаე



წელიწადი
მისამართი

მიიღება 1915 წ. ნახევარი

წლის ხელმოწერა

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

იუმორისტულ განყოფილებით და შარუებით

ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულებების გარეშეა.

ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარტეტურარო პიესა.

შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ.

ხელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს. მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: ორიგენით, ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ იოსიფუ იმედაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Открыта полугодовая подписка

с 1 Июля по 3 Декабря
1915 года на ЖУРНАЛЬ

„ТЕАТРЪ И ИСКУССТВО“

Подписная цѣна съ доставной и пересылкой 4 р. 50 к. (За границу 7 руб.)

ежемесячные приложения „Библиотеки Театра и Искусства“ съ пьесами текущаго репертуара. Въ вышедшихъ книгахъ за первое полугодіе помѣщены: „Пигмалионъ“ Бер. Шоу, „Пьвецъ своей печали“ О. Дымова, „Домъ“ В. Гардова, „Чудо герой“ Джона Синга, „Слѣпая любовь“ Н. Грушко, мизант. Куприна, М. А. Любимова, О. Дымова, М. А. Потапенко, С. Юшкевича и др. Намѣчены къ печатанію въ слѣдующихъ книгахъ: „Осенній скрипки“ И. Сургучева, „Начало карьеры“ В. Рышкова, „Вѣра Мирцева“ Л. Урванцова, „Кровь“ С. Шиманскаго и др. ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ съ 1 Января—8 руб. Новые годовые (съ 1-го января) подписчики получаютъ всѣ вышедшіе №№ со всеми приложениями. Отдѣленный № 20 коп.

Главная контора: Петроградъ, Вознесенскій пр. д. 4. Телеф. 16—69.

(4—2)

ნომრები „ბერკობს“

ახლად შეეცებულა, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის ხინათლით ქლაქის შუაგულს, ვორონკოვის ძველთან ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სმაზარეულა, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანა).

თბილისი: მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ: 13—14 (წ)

კუთაისი პროფიზორის ა.ს. ახვლედიანისა (სამხედრო ტექნიკისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

1 მაიხიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა ეურნალ-გაგანეთების კანტორა

განათლება

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, ქუთათური „ახალი კვლი“, „კავკასიკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშავი“ და „ხათაბალო“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკი, 6.

კ. თბილისში გამოდის უოველვერეული იუმორისტული გაიოცება
ეურნალის სამხატვრო და სალიტერატურო შხარეს განგებენ ეშმაკ-
და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ეზღუდა
თანამშრომლები: ადბურაონი, აფიკსაქე, გჭი. კ. შმაკი, თაგუნა, კან-
ტი, გვინჯანი, კოლო, შირაგლი, ნაფუკუდახონაონი, ოჩისიშკა, შიტი, ა,
ფოს-ტეფი, შ. ქიქოძე, შქერლანტი, ჭაყალი, ზემატი და სხვ
ეურნალის ფასი—1 წლით 6 მ., 6 თვით 3 მ., 3 თვით 1 მ. 50 კპ.
„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაისის წერილები: დღეს-
ბი, მიობობები, ზღაპრები, აზაგები, შარალები, გამოკანები, ნაკვეთი და სხ.
ფურ. დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილუსტრაციები.
რედაქტორი: სიხვეს ყველა თანამშრომლებს მახალბე გამოგზავნონამ აღრესით: Тифлисъ,
С. П. Таварткиладзе. Олг. нская 6, почт. ящ. № 96 (ეშმაკის მათრახისთვის)